



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



MI

meliora

საქართველოს პასუხისმგებელი
ბიზნესის კონკურსი

2018

განმცხადებლის გზამკვლევი

შინაარსი

1. შესავალი - კონკურსის შესახებ.....	2
2. ცხრა მიზეზი, თუ რატომ უნდა მიიღოთ მონაწილეობა საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსში Meliora.....	4
3. აუცილებელი მოთხოვნები კონკურსში მონაწილეობისთვის	6
3.1. ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობის მიღება?.....	6
3.2. მოთხოვნა ვადებთან დაკავშირებით.....	6
3.2. განაცხადების დასაშვები რაოდენობა	7
4. ძირითადი თარიღები.....	7
5. კატეგორიების აღწერა	8
5.1. მწვანე ინიციატივა	9
5.2. პასუხისმგებელი დამსაქმებელი	10
5.3. კეთილსინდისიერი საქმიანობა ბაზარზე.....	10
5.4. საზოგადოების მხარდაჭერა.....	11
5.5. სექტორთა პარტნიორობა - გაზიარებული პასუხისმგებლობა	12
5.6. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) შესახებ კომუნიკაცია.....	13
5.7. წლის CSR-მენეჯერი (სპეციალური კატეგორია).....	14
5.8. შემოქმედებითი CSR (სპეციალური კატეგორია).....	15
5.9. ნარჩენების მართვაზე ორიენტირებული ინიციატივა (სპეციალური კატეგორია)	15
5.10. უმაღლესი ჯილდო (გრანპრი) - წლის პასუხისმგებელი მსხვილი კომპანია	17
5.11. უმაღლესი ჯილდო (გრანპრი) - წლის პასუხისმგებელი მცირე და საშუალო კომპანია	18
6. საკონკურსო განაცხადის წარდგენის წესი	19
7. ხშირად დასმული კითხვები და დამატებითი ინფორმაცია განმცხადებლებისთვის	25
8. როგორ შევადგინოთ საუკეთესო განაცხადი: რჩევები და რეკომენდაციები	26
9. კონკურსის ჟიური.....	28
10. საკონკურსო განაცხადების შეფასება	29
11. გამარჯვებულების დასახელება - დაჯილდოების ცერემონია და ჯილდო	30
12. კონკურსის ორგანიზატორი	31
13. პროექტის შესახებ	31

1. შესავალი - კონკურსის შესახებ

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) აცხადებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საუკეთესო ინიციატივების ყოველწლიურ კონკურსს - საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსს Meliora. კონკურსი ტარდება „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ ფარგლებში, ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მხარდაჭერით. კონკურსის მხარდამჭერები და პარტნიორები არიან აგრეთვე საქართველოში კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარებაზე ორიენტირებული ბიზნესასოციაციები, საერთაშორისო და ადგილობრივი საექსპერტო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

Meliora ლათინური სიტყვაა და „საუკეთესოს“ ნიშნავს; შესაბამისად, კონკურსი Meliora ყოველწლიურად გამოავლენს და დააჯილდოებს საქართველოში მოქმედ იმ კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ შესანიშნავ, შთამაგონებელ და სამაგალითო პროექტებსა და ინიციატივებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში, კომპანიებს, რომლებიც ცდილობენ უკეთესობისკენ შეცვალონ საქართველო.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ბიზნესის პასუხისმგებლობას და ეთიკას. ეს ტენდენცია ნელ-ნელა მკვიდრდება საქართველოშიც. შესაბამისად, კომპანიებს უწევთ საკუთარ საქმიანობაში ახლებური, პასუხისმგებელი მიდგომების დანერგვა.

ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები, რომლებიც ქართულ კომპანიებს ევროკავშირსა და გლობალურ ბაზრებთან ინტეგრაციამ მოუტანა, ხშირ შემთხვევაში მჭიდროდ უკავშირდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) განვითარებას, დახვეწას და ბიზნესის პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტების დაცვას.

საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora არის ეროვნული მასშტაბის წამოწყება, რომლის მიზანია საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება და საზოგადოებაში მისი პოპულარიზაცია; კომპანიების წახალისება, დანერგონ საკუთარ საქმიანობაში CSR-პრინციპები და მიდგომები და გახდნენ სამაგალითო სხვებისთვის; საუკეთესო CSR-პროექტებისათვის ყურადღების მიპყრობა; დაბოლოს, იმის წარმოჩენა, რომ პასუხისმგებელი ბიზნესი - სასიკეთო ცვლილებების ეს მამოძრავებელი ძალა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებისა და გარემოს გაჯანსაღებას, საბოლოოდ იძლევა გრძელვადიან ფინანსურ სარგებელს და არის მდგრადი, მოწინავე და წარმატებული ბიზნესი.

კონკურსის მრავალფეროვანი კატეგორიები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ყველა ძირითად სფეროს მოიცავს. კონკურსში მონაწილეობის მიღება

შეუძლიათ ქვეყანაში მოქმედ ნებისმიერი ზომის კომპანიებს, რომლებიც საკუთარ საქმიანობას პასუხისმგებლობით წარმართავენ და ზრუნავენ თავიანთი თანამშრომლების, მომხმარებლებისა და მომწოდებლების კეთილდღეობაზე, ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვაზე.

მდგრადი და პასუხისმგებელი ბიზნესის ყველა სფეროს თვალსაჩინო მაგალითების გაზიარებით კონკურსი ხელს შეუწყობს საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის უკვე დამკვიდრებული აღქმის შეცვლას, რათა ის **გასცდეს ქველმოქმედების და შემოწირულობების საზღვრებს**; კონკურსი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს, რომ არა მხოლოდ მსხვილ, არამედ მცირე და საშუალო ზომის კომპანიებსაც შეუძლიათ განახორციელონ წარმატებული CSR-პროექტები და მოუტანონ სარგებელი გარემოს და საზოგადოებას, საკუთარი საქმიანობის სფეროებისა და მასშტაბების შესაბამისი პასუხისმგებელი ბიზნესმიდგომების დანერგვითა და ამოქმედებით.

წამყვანი ქართველი და უცხოელი (ბრიტანელი, სლოვაკი, ბელგიელი, ისრაელელი, დანიელი) ექსპერტებისგან შემდგარი დამოუკიდებელი ჟიური შეაფასებს ნომინანტებს და გამოავლენს საუკეთესოებს CSR-ინიციატივების სათანადოდ დაგეგმვის, თანმიმდევრულობის, ეფექტურობისა და შედეგების მდგრადობის მიხედვით. **ინვესტირებული თანხების ოდენობა არავითარ შემთხვევაში არ იქნება შეფასების გადამწყვეტი კრიტერიუმი.**

ჩვენი რწმენით, კონკურსში გამარჯვებული კომპანიები იქნებიან საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის ავანგარდში.

გვჯერა, რომ კონკურსი Meliora მთელი ქვეყნის მასშტაბით გახდება მნიშვნელოვანი ცვლილებების, ბიზნესის წარმატების და კორპორაციული პასუხისმგებლობის შთაგონების წყარო.

2. ცხრა მიზეზი, თუ რატომ უნდა მიიღოთ მონაწილეობა საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსში Meliora

კონკურსი, რომლის ორგანიზატორია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი - კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი საექსპერტო ორგანიზაცია, ტარდება მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივ საექსპერტო ორგანიზაციასთან, ბიზნესპლატფორმასა და სამთავრობო ინსტიტუტთან თანამშრომლობით, რაც მას საქართველოს მასშტაბით კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების სფეროში ერთ-ერთი წამყვანი ინიციატივის სტატუსს ანიჭებს.

კონკურსი Meliora გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ კონკურსი, რადგან:

- კონკურსი უნიკალურ შესაძლებლობას სთავაზობს ბიზნესკომპანიებს გააცნონ საზოგადოებას თავიანთი CSR-ინიციატივები და მოიპოვონ აღიარება საუკეთესო მიღწევებისათვის;
- კონკურსი გთავაზობთ შთამაგონებელ, შემოქმედებით გარემოს და შესაძლებლობას ისწავლოთ და გაუზიაროთ თქვენი გამოცდილება ბევრ სხვადასხვა ორგანიზაციას;
- კონკურსში ჩართულ ყველა კომპანიას საკუთარი წვლილი შეაქვს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მდგრადი განვითარების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებაში;
- კონკურსის მრავალფეროვანი კატეგორიები CSR-ის ყველა ძირითად მიმართულებას მოიცავს. შესაბამისად, მარტივად შეარჩევთ თქვენი CSR-ინიციატივის შესაბამის კატეგორიას.
- კონკურსის პირობები საკმაოდ მოქნილია - თქვენ შეგიძლიათ წარმოადგინოთ ცალკეული პროექტი ან ინიციატივა, რომელიც ერთ კონკრეტულ საკითხზე იქნება ორიენტირებული (მაგალითად, გარემოს დაბინძურების შემცირება ან ამა თუ იმ თემში განათლების ხელშეწყობა) და გაიმარჯვოთ თემატურ კატეგორიაში; შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი საქმიანობა და მიდგომები CSR-ის ყველა ძირითადი მიმართულების მიხედვით და დაიმსახუროთ კონკურსის უმაღლესი ჯილდო (გრანპრი) - წლის პასუხისმგებელი ბიზნესის წოდება; დაბოლოს, შეგიძლიათ კონკურსზე წარადგინოთ თქვენი კომპანიის CSR-მენეჯერი (ან, თუ არ გაქვთ კომპანიაში ეს პოზიცია, CSR-საქმიანობაზე პასუხისმგებელი სხვა თანამშრომელი), რომელმაც მაღალი მოტივაცია და საქმის განსაკუთრებული ერთგულება გამოავლინა, და მოიპოვოთ წლის საუკეთესო CSR-მენეჯერის ჯილდო.
- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მსხვილ, საშუალო და მცირე ზომის კომპანიებს, მათ ექნებათ გამარჯვების თანაბარი შანსები, რადგან პროექტების შეფასება

მოხდება არა მათი ერთმანეთთან შედარებით, არამედ შეფასების კრიტერიუმებით, რომლებიც პროექტებისა და შედეგების მასშტაბებს კომპანიის ზომასთან შეფარდებით განიხილავს; თითოეულ კატეგორიაში, მსხვილი კომპანიის პარალელურად, ჯილდო შესაძლოა ასევე მცირე/საშუალო ზომის ბიზნესს მიენიჭოს.

- კონკურსის **დამოუკიდებელი ჟიური** შედგება წამყვანი ქართველი და უცხოელი ექსპერტებისგან (ბრიტანეთიდან, სლოვაკეთიდან, ბელგიიდან, ისრაელიდან, დანიიდან), რაც შეფასების პროცესის მაღალი სანდოობის გარანტიაა.
- კონკურსის კონცეფცია, კატეგორიები, შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები შემუშავდა CSR-ის სფეროს წამყვანი ევროპული ორგანიზაციების (Pontis Foundation, Slovakia და Business in the Community, the Prince's Responsible Business Network, UK) ექსპერტებთან თანამშრომლობით, რომელთაც ამ ტიპის კონკურსების ჩატარების მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ; შესაბამისად, **კონკურსი საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.**
- დაბოლოს, **დაჯილდოების საზეიმო ცერემონია** შესაძლებლობას იძლევა შევკრიბოთ, გავაერთიანოთ, წავახალისოთ და წარმოვაჩინოთ ყველაზე პროგრესული კომპანიები და ამბიციური ბიზნესპროფესიონალები, რომლებსაც არ სურთ ბიზნესის ტრადიციულ, მხოლოდ შემოსავალზე ორიენტირებულ ჩარჩოებში დარჩენა და საზოგადოებაში სასიკეთო ცვლილებების შეტანით ცდილობენ უფრო ღირებულ შედეგებს მიაღწიონ.

3. აუცილებელი მოთხოვნები კონკურსში მონაწილეობისთვის

3.1. ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობის მიღება?

საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი ღიაა ყველა მსურველისთვის. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ, როგორც მსხვილ, ისე მცირე/საშუალო ზომის კომპანიებს. ყველას ექნება გამარჯვების თანაბარი შანსი, რადგან მონაწილეთა განაცხადები შეფასდება არა ერთმანეთთან შედარებით, არამედ შეფასების სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით. მონაწილეობისთვის მთავარია პროგრამამ, პროექტმა, ინიციატივამ ან სტრატეგიამ წარმოაჩინოს CSR-პრინციპებთან შესაბამისობა, სანდოობა და კონკრეტული შედეგები.

თითოეულ კატეგორიაში შესაძლებელია ორი პარალელური ჯილდოს მინიჭება: ცალკე - მსხვილი და ცალკე - მცირე/საშუალო ზომის კომპანიისთვის.

საქსტატის სტანდარტის მიხედვით¹, საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსში მონაწილე კომპანია განისაზღვრება, როგორც **მსხვილი**, თუკი მასში 250 ადამიანზე მეტია დასაქმებული; კონკურსში მონაწილე კომპანია, რომლის თანამშრომელთა რაოდენობა 250-ზე ნაკლებია, ითვლება **მცირე ან საშუალო ზომის** კომპანიად.

საქართველოში მოქმედმა მულტინაციონალურმა კომპანიებმა უნდა შეძლონ არა მხოლოდ გლობალური სტრატეგიის შესრულების, არამედ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული თვალსაჩინო ინიციატივებისა და აქტიური ძალისხმევის ჩვენება; შეფასების პროცესში ყურადღება მიექცევა გლობალური სტრატეგიის ქართული რეალობისათვის მორგებას და ადგილობრივი აქტივობების ხარისხს.

3.2. მოთხოვნა ვადებთან დაკავშირებით

საკონკურსოდ წარდგენილი პროგრამები, პროექტები თუ ინიციატივები უნდა იყოს განხორციელებული 2017-2018 წლებში, უნდა იყოს ან დასრულებული, ან იმყოფებოდეს განხორციელების ისეთ ეტაპზე, როდესაც შედეგების ნაწილი უკვე მიღწეულია, დანარჩენი კი აშკარად იკვეთება. თუ წარდგენილი პროგრამა ან პროექტი 2017 წლამდე დაიწყო და ჯერ კიდევ მიმდინარეობს, კომპანიამ მკაფიოდ უნდა განმარტოს, თუ როდის დაიწყო პროგრამა/პროექტი, რა ეტაპზეა ამჟამად, რა აქტივობები განხორციელდა და რა კონკრეტულ

¹ <http://www.geostat.ge/>

შედეგებს მიაღწიეს კონკურსის პირობებით განსაზღვრულ პერიოდში (2017 წლის იანვრის შემდეგ).²

3.2. განაცხადების დასაშვები რაოდენობა

განმცხადებლებს შეუძლიათ წარმოადგინონ ნებისმიერი რაოდენობის განაცხადი ნებისმიერი რაოდენობის კატეგორიაში; თუმცა დაუშვებელია ერთი და იმავე განაცხადის ორჯერ, ორ სხვადასხვა კატეგორიაში წარდგენა: ერთი კონკრეტული პროექტის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ.

ერთ კონკრეტულ კატეგორიაში რამდენიმე პროექტის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პროექტები ამ კატეგორიაში არსებულ სხვადასხვა თემას უკავშირდება.

მაგალითად, ერთსა და იმავე კატეგორიაში - მწვანე ინიციატივებში - შესაძლებელია ორი სხვადასხვა პროექტის წარდგენა, თუ ერთ-ერთი ბიომრავალფეროვნების თემას ეხება, ხოლო მეორე - ენერგომენეჯმენტს. ამავდროულად, დაუშვებელია ორი სხვადასხვა პროექტის წარდგენა, თუ ორივე ერთსა და იმავე თემას (ვთქვათ, ენერგომენეჯმენტს) ეხება.

4. ძირითადი თარიღები

- **აგვისტო, 2018** – „საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის - Meliora 2018“ ოფიციალური გამოცხადება;
- **10 სექტემბერი, 2018** - კონკურსში მონაწილეობის ინტერესის გამოხატვის ბოლო ვადა (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს არ არის სავალდებულო ნაბიჯი, თუმცა იგი საშუალებას მოგცემთ გაიაროთ ინდივიდუალური კონსულტაცია; საკონკურსო განაცხადის წარდგენა ამ ნაბიჯის გარეშე შეგიძლიათ);
- **5 ოქტომბერი, 2018** - განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა;
- **5-15 ოქტომბერი, 2018** - წარდგენილი განაცხადების კონკურსის პირობებთან შესაბამისობის შეფასება;

² კატეგორიაში „ნარჩენების მართვაზე ორიენტირებული ინიციატივა“ შესაძლებელია აგრეთვე ახლახან დაწყებული პროგრამის/პროექტის/ინიციატივის წარდგენა, თუ კომპანია შეძლებს ნათლად წარმოაჩინოს და დაასაბუთოს პროექტის მდგრადობა და გრძელვადიანად განვითარების პოტენციალი.

- **15 ოქტომბერი - 15 ნოემბერი, 2018** - განაცხადების შეფასება ჟიურის მიერ;
- **20-30 ნოემბერი, 2018** - გრანპრის და წლის CSR-მენეჯერის კატეგორიებში კონკურსის მეორე რაუნდში გადასული ფინალისტების ზეპირი პრეზენტაციები ჟიურის წევრებთან;
- **13 დეკემბერი, 2018** - საზეიმო ღონისძიება, გამარჯვებულების გამოცხადება.

5. კატეგორიების აღწერა

ჯილდო გაიცემა შემდეგ კატეგორიებში:

ექვსი თემატური კატეგორია, რომლებიც მოიცავს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ყველა ძირითად სფეროს:

- მწვანე ინიციატივა;
- პასუხისმგებელი დამსაქმებელი;
- კეთილსინდისიერი საქმიანობა ბაზარზე;
- საზოგადოების მხარდაჭერა;
- სექტორთა პარტნიორობა - გაზიარებული პასუხისმგებლობა;
- CSR-ის შესახებ კომუნიკაცია.

სამი სპეციალური კატეგორია:

- წლის CSR-მენეჯერი;
- შემოქმედებითი CSR (დაწესებული საქართველოს საკომუნიკაციო სააგენტოების ასოციაციასთან პარტნიორობით);
- ნარჩენების მართვაზე ორიენტირებული ინიციატივა, დაწესებული „რეგიონებში ნარჩენების მართვის ტექნოლოგიების პროგრამასთან“ თანამშრომლობით (პროგრამას აფინანსებს USAID-ი და ახორციელებს CENN-ი).

უმალესი ჯილდო (გრანპრი) - წლის პასუხისმგებელი ბიზნესის წოდება, რომელიც მიენიჭება ცალკე მსხვილ და ცალკე მცირე/საშუალო ზომის კომპანიას.

კატეგორიათა უმრავლესობა რამდენიმე სხვადასხვა თემას მოიცავს. აპლიკანტებმა განაცხად(ებ)ი უნდა წარმოადგინონ კონკრეტულ კატეგორიებში (მაგალითად, *მწვანე ინიციატივები*, *საზოგადოების მხარდაჭერა* და ა.შ.); იქვე უნდა მონიშნონ ის კონკრეტული თემა, რომელსაც შეესაბამება მათი განაცხადი (მაგალითად, *ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლობით მოხმარება*, *ადგილობრივი თემის განათლება* და *განვითარება* და ა.შ.).

ჯილდო გაიცემა თითოეულ კატეგორიაში და არა ცალკეულ თემაში. განაცხადში თემის მითითება მოითხოვება შეფასების მიზნებისთვის, რადგან ეს დაეხმარება ჟიურის წევრებს უკეთ დაინახონ წარმოდგენილი პროგრამის, პროექტისა თუ ინიციატივის კონკრეტული მიზანი და ადგილი CSR-ის ერთიან სურათში.

5.1. მწვანე ინიციატივა

ჯილდო გარემოს დაცვაზე ორიენტირებული გამორჩეული პროექტისთვის

ნომინაციის აღწერა: ამ კატეგორიაში დაჯილდოვდება ის გამორჩეული გარემოსდაცვითი პროგრამა/პროექტი/ინიციატივა, რომელიც კომპანიამ განახორციელა კანონით დაკისრებული მოთხოვნების მიღმა და რომლის მიზანიც არის გარემოზე კომპანიის მავნე ზემოქმედების შემცირება, ბიზნესპროცესების გარდაქმნის მეშვეობით ჩვენი პლანეტის სიჯანსაღის შენარჩუნება, ბუნებრივი გარემოს დაცვა და რეაბილიტაცია, ასევე აქტუალური გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლება და სამიზნე ჯგუფებში გარემოს დამზოგი ქცევის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

თემები ამ კატეგორიაში:

- ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლობით მოხმარება;
- ენერგომენეჯმენტი;
- გარემოს დაბინძურების შემცირება;
- ტრანსპორტირებით გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის შემცირება;
- ბიომრავალფეროვნების დაცვა და ეკოსისტემების აღდგენა;
- პროდუქციის მწვანე დიზაინი;
- გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და გარემოს დამზოგი ქცევის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- მდგრადი, გარემოს დამზოგი სოფლის მეურნეობა;
- მწვანე ოფისი;
- **სხვა:** თუ თქვენი პროექტი არ შეესატყვისება ზემოთ მოყვანილ არც ერთ თემას, შეგიძლიათ თავად დაამატოთ შესაბამისი თემა.

5.2. პასუხისმგებელი დამსაქმებელი

ჯილდო კომპანიებისთვის, რომლებიც ზრუნავენ თავიანთი თანამშრომლების კეთილდღეობასა და განვითარებაზე

ნომინაციის აღწერა: ამ კატეგორიაში დაჯილდოვდება ის გამორჩეული პროგრამა/პროექტი/ინიციატივა, რომელიც კომპანიამ განახორციელა კანონით დაკისრებული მოთხოვნების მიღმა და რომლის მიზანიც არის თანამშრომლების ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა; თანამშრომლებისთვის თანაბარი შესაძლებლობების, კარგი და სამართლიანი სამუშაო პირობების უზრუნველყოფა; მათი განათლებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ამ კატეგორიაში გაიმარჯვებს კომპანია, რომელსაც აქვს შემუშავებული სათანადო პოლიტიკა, პროგრამები და მართვის სისტემები ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც აფასებს და პატივს სცემს საკუთარ თანამშრომლებს.

თემები ამ კატეგორიაში:

- თანამშრომელთა განათლება და პროფესიული განვითარება;
- თანამშრომელთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
- თანაბარი შესაძლებლობები და ინკლუზია სამუშაო ადგილზე;
- ოჯახთან თავსებადი სამუშაო პირობები;
- თანამშრომელთა სოციალური დაცვა;
- სამუშაო გარემო და თანამშრომელთა თანამონაწილეობა;
- **სხვა:** თუ თქვენი პროექტი არ შეესატყვისება ზემოთ მოყვანილ არც ერთ თემას, შეგიძლიათ თავად დაამატოთ შესაბამისი თემა.

5.3. კეთილსინდისიერი საქმიანობა ბაზარზე

ჯილდო ეთიკური და სამართლიანი ბიზნესსაქმიანობისთვის, მომხმარებლების, მომწოდებლებისა და სხვა პარტნიორების მიმართ პატიოსანი, კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულებისთვის

ნომინაციის აღწერა: ამ კატეგორიაში დაჯილდოვდება ის გამორჩეული პროგრამა/პროექტი/ინიციატივა, რომელიც კომპანიამ განახორციელა კანონით დაკისრებული მოთხოვნების მიღმა და რომლის მიზანიც არის კომპანიის საქმიანობა ბაზარზე გახდეს უფრო გამჭვირვალე, სამართლიანი და ინკლუზიური. ეს შესაძლოა იყოს ნებისმიერი პროექტი ან ინიციატივა, მიმართული მომხმარებლებთან კომუნიკაციის

გაუმჯობესებაზე, მათი უფლებების დაცვაზე; ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების ან ეთიკური საქმიანობის კოდექსის შემოღებაზე; ინოვაციური, გარემოს დამზოგი პროდუქციის და მომსახურების შემუშავებაზე; მომწოდებლებთან და კლიენტებთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე; პარტნიორებთან და/ან კონკურენტებთან თანამშრომლობაზე; მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფაზე.

თემები ამ კატეგორიაში:

- ეთიკური ბიზნესის წარმოება და ეთიკის პრინციპების დანერგვა კომპანიის შიგნით და გარეთ;
- მომხმარებელთა მიმართ პასუხისმგებლობის ინიციატივები;
- მომხმარებელთა, მომწოდებელთა, პარტნიორთა პირადი მონაცემების დაცვის ინიციატივები;
- ინოვაციური პროდუქცია და მომსახურება სპეციალური საჭიროების მქონე მომხმარებლებისათვის;
- ადგილობრივი მომწოდებლების განვითარებისა და გაძლიერების ინიციატივები;
- **სხვა:** თუ თქვენი პროექტი არ შეესატყვისება ზემოთ მოყვანილ არც ერთ თემას, შეგიძლიათ თავად დაამატოთ შესაბამისი თემა.

5.4. საზოგადოების მხარდაჭერა

ჯილდო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემების მხარდაჭერისა და განვითარებისთვის

ნომინაციის აღწერა: ამ კატეგორიაში დაჯილდოვდება გამორჩეული პროგრამა/პროექტი /ინიციატივა, რომლის მიზანია მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების, მთლიანად საზოგადოების და უშუალოდ იმ ადგილობრივი თემის ცხოვრების გაუმჯობესება, სადაც საქმიანობს კომპანია; კერძოდ, დახმარება ისეთი კონკრეტული პრობლემების გადაჭრისას, რომლებიც უკავშირდება განათლებას, სპორტს, კულტურას, ჯანდაცვას, სიღარიბის დაძლევას, თანაბარ შესაძლებლობებს და სოციალურ ინკლუზიას, საარსებო წყაროების სტაბილურობას და ა.შ.

ამ კატეგორიაში გამარჯვებულად აღიარება ნიშნავს, რომ კომპანია დადებით გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და/ან ცალკეულ თემზე, სტრატეგიულად უდგება იქ არსებული პრობლემების გადაწყვეტას და აღწევს გრძელვადიან, მდგრად შედეგებს.

თემები ამ კატეგორიაში:

- თემში თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა (მაგ., შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის და სხვა უმცირესობათა ჯგუფებისთვის);
- სტერეოტიპების დაძლევა და სოციალური ცვლილება თემში;
- ბიზნესი სიღარიბის წინააღმდეგ - მდგრად შედეგზე ორიენტირებული პროგრამები სიღარიბის დასაძლევად;
- ადგილობრივი თემის განათლება და განვითარება (განათლების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო აქტივობების მხარდაჭერა);
- კულტურის განვითარება და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის, სპორტის და თემის ჯანმრთელობის ხელშეწყობის ინიციატივები;
- თანამშრომელთა მოხალისეობისა და pro bono ინიციატივები;
- **სხვა:** თუ თქვენი პროექტი არ შეესატყვისება ზემოთ მოყვანილ არც ერთ თემას, შეგიძლიათ თავად დაამატოთ შესაბამისი თემა.

5.5. სექტორთა პარტნიორობა - გაზიარებული პასუხისმგებლობა

ჯილდო კომპანიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის პარტნიორობით განხორციელებული წარმატებული ინიციატივებისთვის, რომლებიც ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობას

ნომინაციის აღწერა: ამ კატეგორიაში გამოვლინდება და დაჯილდოვდება წარმატებული პარტნიორობა კომპანიასა და, სულ მცირე, ერთ (ან მეტ) საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის. ჯილდო გადაეცემა კომპანიას საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით განხორციელებული, სტრატეგიულად დაგეგმილი და სოციალურად სარგებლიანი პროგრამის/პროექტის/ინიციატივისათვის, რომლის მიზანია არსებული სოციალური ან გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარება, ადამიანების სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება, ადგილობრივი თემ(ებ)ის და/ან კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფების მხარდაჭერა და განვითარება.

ამ კატეგორიაში გამარჯვება ნიშნავს, რომ პარტნიორი ორგანიზაციების **თანამშრომლობა** ეყრდნობოდა მათ ურთიერთშემავსებელ, უნიკალურ ცოდნას და გამოცდილებას, ის სასარგებლო იყო ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მდგრადი და გრძელვადიანი შედეგები გამოიღო და დადებითად იმოქმედა თემში არსებულ აქტუალურ პრობლემებზე.

თემები ამ კატეგორიაში:

- საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან პარტნიორობა სოციალური ცვლილებისთვის - საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული, საზოგადოების კეთილდღეობისკენ მიმართული ინიციატივები, რომელთა მიზანია სოციალური საკითხების გადაჭრა ან კონკრეტული სათემო ჯგუფების საჭიროებების მოგვარება;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციის სისტემური მხარდაჭერა - კონკრეტული საზოგადოებრივი ორგანიზაცი(ებ)ის გრძელვადიანი და სისტემური მხარდაჭერა სხვადასხვა გზით (მათ შორის, ფინანსური და არაფინანსური შემოწირულობების, pro bono მომსახურების და თანამშრომლების მოხალისეობრივი შრომის სახით), რაც ემსახურებოდა სამიზნე ორგანიზაციის გაძლიერებას საზოგადოების საკეთილდღეოდ.

5.6. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) შესახებ კომუნიკაცია

ჯილდო კომპანიისთვის, რომელიც საკუთარი CSR-პროგრამების შედეგებს ზომავს და მათ შესახებ ინფორმაციას დაუფარავად და გულახდილად აწვდის საზოგადოებას

ნომინაციის აღწერა: საკუთარი საქმიანობის შედეგად გარემოსა და საზოგადოებაზე მოხდენილი დადებითი ან უარყოფითი გავლენის შესახებ გამჭვირვალე და გულახდილი კომუნიკაცია - პასუხისმგებელი ბიზნესის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია.

ამ კატეგორიაში გამოვლინდება და დაჯილდოვდება საუკეთესო ანგარიში ან ვებგვერდი, რომელიც სრულად, ამომწურავად, გამჭვირვალედ და კეთილსინდისიერად წარმოადგენს ინფორმაციას კომპანიის CSR-პოლიტიკის და პრაქტიკის, კონკრეტული CSR-პროექტების/ინიციატივების შესახებ, გარემოსა და საზოგადოებაზე კომპანიის საქმიანობის ზეგავლენის შესახებ.

თემები ამ კატეგორიაში:

- მდგრადი განვითარების ანგარიში - 2018 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოში გამოქვეყნებული სოციალური პასუხისმგებლობის/მდგრადი განვითარების ანგარიში, რომელშიც ასახულია 2017-2018 წლების მონაცემები კომპანიის სოციალური ზეგავლენისა და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების, აგრეთვე ამ მიმართულებით მისი საქმიანობის შესახებ;

- ანგარიში საზოგადოების საკეთილდღეოდ განხორციელებული CSR-პროგრამ(ებ)ის შესახებ - 2018 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოში გამოქვეყნებული ანგარიში, რომელშიც აღწერილია საზოგადოების საკეთილდღეოდ (გარემოს დაცვის, თემის განვითარების, ადამიანის უფლებების, შრომითი უფლებების, მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროებში) განხორციელებული კონკრეტული CSR-ინიციატივები/პროგრამები;
- CSR-ვებგვერდი კომპანიის საერთო CSR-პოლიტიკის და მისი შესრულების თაობაზე - საკონკურსოდ შესაძლებელია დამოუკიდებელი CSR-ვებგვერდის ან კომპანიის ვებგვერდის იმ ნაწილის დასახელება, რომელიც კომპანიის CSR-პოლიტიკას და აქტივობებს ეძღვნება.

5.7. წლის CSR-მენეჯერი (სპეციალური კატეგორია)

ჯილდო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში შეტანილი პიროვნული წვლილისთვის

ეს კატეგორია განკუთვნილია კომპანიებისთვის, რომლებსაც სურთ CSR-მენეჯერის ან CSR-საქმიანობაზე პასუხისმგებელი სხვა თანამშრომლის საკონკურსოდ წარდგენა. კანდიდატის დასახელება შეუძლია მის უშუალო ხელმძღვანელს (მაგალითად, განყოფილების უფროსს) ან კომპანიის აღმასრულებელ დირექტორს.

ნომინაციის აღწერა: ამ კატეგორიაში დაჯილდოვდება პირი, რომელმაც განსაკუთრებული და სამაგალითო წვლილი შეიტანა სოციალურად პასუხისმგებელი და ეთიკური ბიზნესსაქმიანობის განვითარებაში როგორც კომპანიის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ჟიური გამოარჩევს ყველაზე გულანთებულ, შეუპოვარ და CSR-ის პრინციპების ერთგულ ნომინანტს, რომლის საქმის სიყვარული და ენთუზიაზმი სხვებისთვის გადამდები და მოტივაციის მიმცემია.

5.8. შემოქმედებითი CSR (სპეციალური კატეგორია)

დაწესებული საქართველოს საკომუნიკაციო სააგენტოების ასოციაციასთან [ACAG] პარტნიორობით

ჯილდო სოციალური/გარემოსდაცვითი საკითხების შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომებით წარმოჩენისთვის

შემოქმედებითი CSR-ის კატეგორიაში განაცხადების წარსადგენად ვიწვევთ საქართველოში რეგისტრირებულ საკომუნიკაციო და სარეკლამო სააგენტოებს და პიარკომპანიებს, რომლებმაც წარმოსადგენი პროექტი საკუთარი ინიციატივით ან სხვა პარტნიორ/კლიენტ კომპანიასთან თანამშრომლობით განახორციელეს.

ნომინაციის აღწერა: ამ კატეგორიაში დაჯილდოვდება 2017-2018 წლებში ჩატარებული/შექმნილი ყველაზე შემოქმედებითი და ინოვაციური საკომუნიკაციო კამპანია ან ვიდეოპროდუქცია, რომელიც მიზნად ისახავდა მნიშვნელოვანი სოციალური/გარემოსდაცვითი საკითხისა და/ან მდგრადი განვითარების ერთ-ერთი გლობალური მიზნისათვის (SDGs) საზოგადოების ყურადღების მიპყრობას, ამ სფეროში ცნობიერების ამაღლებას, კომპანიის ბრენდის ამ საკითხებზე დაფუძნებას.

თემები ამ კატეგორიაში:

- CSR-კამპანია, სოციალურ/გარემოსდაცვით საკითხებზე ორიენტირებული საკომუნიკაციო კამპანია;
- ვიდეო, რომელიც გამიზნულია სოციალური/გარემოსდაცვითი საკითხის პოპულარიზაციისთვის ან უკავშირდება მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მიზანს.

5.9. ნარჩენების მართვაზე ორიენტირებული ინიციატივა (სპეციალური კატეგორია)

დაწესებულია პროგრამასთან „ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში“ თანამშრომლობით (პროგრამა ხორციელდება CENN-ის მიერ USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით)

ჯილდო გამორჩეული პროექტისთვის, რომელიც ამცირებს ნარჩენების მავნე ზემოქმედებას ბუნებრივ გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე და ხელს უწყობს მწვანე ეკონომიკის განვითარებას

ნომინაციის აღწერა: ამ კატეგორიაში დაჯილდოვდება ის გამორჩეული პროგრამა/პროექტი/ინიციატივა, რომელიც კომპანიამ განახორციელა კანონით დაკისრებული მოთხოვნების მიღმა და რომლის მიზანიც არის ბუნებრივ გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ნარჩენების მავნე ზემოქმედების შემცირება ნარჩენების მართვის ეფექტიანი მიდგომების (ნარჩენების მინიმოზაცია, ხელმეორე გამოყენება, სეპარაცია, გადამუშავება, ენერჯიად აღდგენა) ამოქმედებით და ბიზნესსექტორში ნარჩენების მართვის ინიციატივების ხელშეწყობით.

საკონკურსოდ წარდგენილი პროგრამის/პროექტის/ინიციატივის მიზნები უნდა იყოს:

ნარჩენების რაოდენობის შემცირება:

- ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირების ინიციატივები;
- მწვანე შესყიდვების გრძელვადიანი და ინოვაციური პროგრამები, მიმართული გადამუშავებული ან გარემოსდამზოგი (მაგ., ნაკლები შეფუთვის მქონე) პროდუქციის შესყიდვაზე.

ნარჩენების დახარისხება და გადამუშავება:

- კომპანიებში ნარჩენების დახარისხების პროგრამები (მაგ., ქალაქის, შუშის, ალუმინის) შემდგომი გადამუშავების მიზნით (აუცილებელი პირობაა დახარისხებული ნარჩენების მიწოდება გადამამუშავებელი კომპანიებისთვის);
- ნარჩენების კომპოსტირების პროგრამები.

ნარჩენების მართვის სათანადო მიდგომების დამკვიდრების ხელშეწყობა (დამხმარე ღონისძიებები):

- კომპანიების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებისა და გარემოსდამზოგი ქცევის ჩამოყალიბების გრძელვადიანი პროგრამები (მაგ. ღონისძიებები, კამპანიები, ტრენინგები და სხვა), რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების შემცირებას, დახარისხებასა და გადამუშავებას;
- საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები და კამპანიები, რომელთა მიზანია მოსახლეობის ჩართვა ნარჩენების შემცირების, დახარისხებისა და გადამუშავების პროცესებში.

5.10. უმაღლესი ჯილდო (გრანპრი) - წლის პასუხისმგებელი მსხვილი კომპანია

ჯილდო მსხვილი ნოვატორი კომპანიისთვის, რომელმაც პასუხისმგებლობა საკუთარ ბიზნესსტრატეგიებსა და საქმიანობაში დანერგა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ყველა ძირითადი სფერო მოიცვა.

ნომინაციის აღწერა: გრანპრი არ არის რომელიმე კონკრეტული CSR-ინიციატივის განხორციელებისთვის ან CSR-ის ცალკეულ სფეროში მიღწეული შედეგების გამო დაწესებული ჯილდო. ამ კატეგორიის მიზანია იმ მსხვილი კომპანიების აღიარება, რომლებმაც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესის წარმოების განუყოფელ ნაწილად აქციეს, რომლებიც სისტემურად, სრულყოფილად, სტრატეგიულად და ინოვაციურად ავითარებენ პასუხისმგებელ ბიზნესს და შეუძლიათ საკუთარი საქმიანობის ყველა შესაბამის სფეროში ისეთი CSR-პოლიტიკის და პროექტების წარმოჩენა, რომლებიც დადებითად მოქმედებს ბუნებრივ გარემოსა და საზოგადოებაზე.

გრანპრის მფლობელი გახდება მსხვილი კომპანია,³ რომელიც წარმოადგენს საკუთარ პოლიტიკასა და საქმიანობას CSR-ის ოთხივე ძირითად სფეროში (გარემოს დაცვა, თანამშრომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, კეთილსინდისიერი საქმიანობა ბაზარზე, საზოგადოების და ადგილობრივი თემის მხარდაჭერა) და ყველა ამ მიმართულებით, საერთო ჯამში, საუკეთესო შედეგებს აჩვენებს.

საქართველოში მოქმედმა მულტინაციონალურმა კომპანიებმა უნდა შეძლონ არა მხოლოდ გლობალური სტრატეგიის შესრულების, არამედ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული თვალსაჩინო ინიციატივების და აქტიური ძალისხმევის ჩვენება; მათი შეფასებისას გათვალისწინებული იქნება, თუ რამდენად მოარგო კომპანიამ გლობალური სტრატეგია ადგილობრივ პირობებს და როგორია საქართველოში განხორციელებული საქმიანობის ხარისხი და შედეგები.

³ საქსტატის სტანდარტის მიხედვით (<http://www.geostat.ge/>), საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსში მონაწილე კომპანია განისაზღვრება, როგორც მსხვილი, თუკი მასში 250 ადამიანზე მეტია დასაქმებული.

5.11. უმაღლესი ჯილდო (გრანპრი) - წლის პასუხისმგებელი მცირე და საშუალო კომპანია

ჯილდო მცირე და საშუალო ზომის მოწინავე კომპანიებისთვის, რომლებმაც პასუხისმგებელი ქმედებები დანერგეს მიმდინარე საქმიანობაში და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) რამდენიმე ძირითადი სფერო მოიცვეს.

ნომინაციის აღწერა: გრანპრი არ არის რომელიმე კონკრეტული CSR-ინიციატივის განხორციელებისთვის ან CSR-ის ცალკეულ სფეროში მიღწეული შედეგების გამო დაწესებული ჯილდო. კატეგორია შეიქმნა იმ მცირე და საშუალო ზომის კომპანიების გამოსავლენად, რომლებიც საუკეთესოდ წარმოაჩენენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ერთგულებას მთლიანი კომპანიის მასშტაბით, და რომლებიც ახორციელებენ მდგრადი შედეგების მქონე CSR-პროექტებს ან პროგრამებს საქმიანობის რამდენიმე შესაბამის სფეროში.

გრანპრი გადაეცემა მცირე ან საშუალო ზომის⁴ ქართულ კომპანიას გამორჩეული CSR-მიდგომისა და ქვემოთ ჩამოთვლილიდან მინიმუმ ორ სფეროში განხორციელებული ეფექტიანი საქმიანობისთვის:

1. პასუხისმგებლობა თანამშრომლების მიმართ;
2. პასუხისმგებლობა თემის მიმართ;
3. პასუხისმგებლობა გარემოს მიმართ;
4. პასუხისმგებლობით საქმიანობა ბაზარზე.

⁴ საქსტატის სტანდარტის მიხედვით (<http://www.geostat.ge/>), საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსში მონაწილე კომპანია განისაზღვრება, როგორც მცირე ან საშუალო ზომის კომპანია, თუკი მისი თანამშრომლების რაოდენობა არ აღემატება 250-ს.

6. საკონკურსო განაცხადის წარდგენის წესი

განაცხადის წარდგენის ხუთი ნაბიჯი

განაცხადის წარსადგენად მიჰყევით ხუთ მარტივ ნაბიჯს:

1

გადაწყვიტეთ, რის წარდგენას აპირებთ და შეარჩიეთ შესაბამისი კატეგორია

2

(არასავალდებულო ნაბიჯი)

გამოხატეთ კონკურსში *მონაწილეობის სურვილი* 10 სექტემბრამდე და მიიღეთ საშუალება ინდივიდუალური კონსულტაცია გაიაროთ საკონკურსო განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით. ჩამოტვირთეთ მონაწილეობის ინტერესის გამოხატვის ფორმა [კონკურსის ვებგვერდიდან](https://www.meliiora.ge/csr-awards), შეავსეთ და გაგზავნეთ მისამართზე: csrawards@meliiora.ge

მონაწილეობის ინტერესის გამოხატვა არ არის სავალდებულო! მხოლოდ თქვენი გადასაწყვეტია, გამოიყენებთ თუ არა ამ შესაძლებლობას!

საკონკურსო განაცხადის წარდგენა მონაწილეობის ინტერესის გამოხატვის გარეშეც შეგიძლიათ!

3

ჩამოტვირთეთ და შეავსეთ შესაბამისი კატეგორიის **განაცხადის ფორმა**; ატვირთეთ დამატებითი საბუთები Google Drive-ზე და ჩასვით ბმული თქვენს განაცხადში.

4

წარადგინეთ განაცხადი!

შევსებული განაცხადი და სავალდებულო დანართები 2018 წლის 5 ოქტომბრამდე გააგზავნეთ მისამართზე: csrawards@meliiora.ge

5

განაცხადის წარმატებით გაგზავნის შესახებ შეტყობინებას ელექტრონული ფოსტით მიიღებთ

ენა: განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

კონკურსის ჟიურში, ქართველ ექსპერტებთან ერთად, 7 საერთაშორისო ექსპერტია ჩართული. ამიტომ ყველა წარდგენილი განაცხადი ითარგმნება ინგლისურად და გადაეზიარება ჟიურის საერთაშორისო წევრებს განსახილველად.

განაცხადის წარდგენის ხუთი ნაბიჯის დაწვრილებითი აღწერა

1. შეარჩიეთ შესაბამისი კატეგორია

დაფიქრდით, რა იყო ის საუკეთესო პროგრამა/პროექტი /ინიციატივა, რომელიც თქვენმა კომპანიამ ბოლო ორი წლის (2017-2018) განმავლობაში განახორციელა. შეარჩიეთ მისთვის შესაბამისი **კატეგორია**. თემების ჩამონათვალიდან, რომლებსაც შეიცავს ეს კატეგორია, აირჩიეთ თქვენი პროექტის შესატყვისი **კონკრეტული თემა**. მაგალითად, თუ გადაწყვიტეთ, შეიტანოთ განაცხადი კატეგორიაში „მწვანე ინიციატივა“, შეარჩიეთ ამ კატეგორიის თემებიდან (ენერგომენეჯმენტი, გარემოს დაბინძურების შემცირება, ბიომრავალფეროვნების დაცვა და ა.შ.) ერთ-ერთი, რომელიც სხვებზე მეტად მიესადაგება თქვენს პროექტს.

- თუ მიგაჩნიათ, რომ არჩეული თემის გარდა, თქვენი პროექტი გარკვეულწილად რომელიმე სხვა თემასაც ეხმიანება, მიუთითეთ ეს განაცხადის ფორმის „შენიშვნების“ ველში;
- თუ ფიქრობთ, რომ თქვენი პროექტი არ მიესადაგება კატეგორიაში არსებულ არც ერთ თემას, შეგიძლიათ დაამატოთ ახალი, პროექტის შესაფერისი თემა.

თემის მითითება აუცილებელია შეფასების მიზნებიდან გამომდინარე -- ის დაეხმარება ჟიურის წევრებს უკეთ დაინახონ კომპანიის მიერ წარმოდგენილი პროგრამის/პროექტის/ინიციატივის კონკრეტული მიზანი და გაიგონ, თუ სად ხედავს კომპანია თავისი ნომინაციის ადგილს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ერთიან კონტექსტში. ამასთან გახსოვდეთ -- **ჯილდო გაიცემა თითოეულ კატეგორიაში და არა ცალკეულ თემაში**.

თუ ფიქრობთ, რომ თქვენი პროგრამა, პროექტი ან ინიციატივა ერთზე მეტ **კატეგორიას** მიესადაგება, თქვენი პასუხისმგებლობაა შეარჩიოთ ის კატეგორია, რომელიც უფრო შესაფერისად მიგაჩნიათ.

2. რამდენი განაცხადის წარდგენა შეიძლება?

თქვენ შეგიძლიათ წარადგინოთ **ნებისმიერი რაოდენობის განაცხადი ნებისმიერი რაოდენობის კატეგორიაში**. შეგიძლიათ წარადგინოთ რამდენიმე სხვადასხვა განაცხადი სხვადასხვა კატეგორიაში; ასევე შეგიძლიათ წარადგინოთ **რამდენიმე პროექტი ერთსა და იმავე კატეგორიაში**, ოღონდ იმ პირობით, რომ თითოეული მათგანი ამ კატეგორიაში არსებულ **განსხვავებულ თემას** შეესაბამება.

მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ წარადგინოთ ორი სხვადასხვა პროექტი კატეგორიებში: „მწვანე ინიციატივა“ და პასუხისმგებელი დამსაქმებელი“; შეგიძლიათ

ასევე წარადგინოთ ორი განსხვავებული პროექტი ერთსა და იმავე კატეგორიაში - „პასუხისმგებელი დამსაქმებელი“, იმ პირობით, რომ თქვენი პროექტები შეესაბამება ამ კატეგორიის ორ სხვადასხვა თემას, ვთქვათ, „თანამშრომელთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ და „თანამშრომელთა განათლება და პროფესიული განვითარება“.

დაუშვებელია ერთი პროექტის ორ ან მეტ განსხვავებულ კატეგორიაში წარდგენა; ერთი კონკრეტული პროექტის წარდგენა შეგიძლიათ მხოლოდ ერთხელ.

თქვენ ასევე შეგიძლიათ შემოიტანოთ განაცხადი გრანპრის - წლის პასუხისმგებელი მსხვილი ან მცირე/საშუალო ბიზნესის წოდების მოსაპოვებლად, თუკი თქვენი კომპანია კორპორაციული პასუხისმგებლობის ყველა სფეროში აქტიურობს და პასუხისმგებელი დამოკიდებულებით გამოირჩევა გარემოს, თანამშრომლების, მომხმარებლების, მომწოდებლების და მთლიანობაში საზოგადოების მიმართ.

გრანპრის ნომინაციაში წარდგენილ კომპანიას შეუძლია დამატებით შეიტანოს განაცხადი სხვა ნებისმიერ კატეგორიაში.

განაცხადების შესაბამისობის შეფასების ეტაპზე (მანამ, სანამ განაცხადები განსახილველად გადაეცემა ჟიურის წევრებს) კონკურსის ორგანიზატორებმა შესაძლოა ურჩიონ განმცხადებლებს გადაანაცვლონ განაცხადი სხვა კატეგორიაში ან მიუთითონ რომელიმე სხვა თემა; თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შესახებ იღებს განმცხადებელი.

თუ დამატებითი რჩევა/დახმარება გესაჭიროებათ კატეგორიის შესარჩევად, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის მეშვეობით.

3. მონაწილეობის ინტერესის გამოხატვა (არასავალდებულო)

სრული განაცხადის შემოტანამდე განმცხადებლებს ვურჩევთ გამოხატონ მონაწილეობის ინტერესი მარტივი ფორმის შევსების მეშვეობით, რომლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია კონკურსის ვებგვერდიდან.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ *მონაწილეობის ინტერესის გამოხატვა არ არის სავალდებულო. თქვენ შეგიძლიათ განაცხადის წარდგენა მონაწილეობის ინტერესის გამოხატვის გარეშე!*

განმცხადებლებს, რომლებიც გამოხატავენ მონაწილეობის ინტერესს, მიეცემათ შესაძლებლობა გაიარონ ინდივიდუალური კონსულტაცია CSRDG-ის კონსულტანტებთან საკონკურსო განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით.

ინტერესის გამოხატვის ბოლო ვადაა 2018 წლის 10 სექტემბერი. შევსებული ფორმის გამოგზავნა შეიძლება მისამართზე: csrawards@meliora.ge

განმცხადებლებს დაბეჯითებით ვურჩევთ მაქსიმალურად მოკლე ვადებში გამოგზავნონ ინტერესის გამოხატვის შევსებული ფორმები, რომ რაც შეიძლება მეტი დრო დარჩეთ ინდივიდუალური კონსულტაციის გასავლელად და საკონკურსო განაცხადის შესავსებად.

ინდივიდუალური კონსულტაციები გაიმართება 3-დან 27 სექტემბრამდე.

გთხოვთ გახსოვდეთ, რომ:

- *ინტერესის გამოხატვა არ არის სავალდებულო; თქვენი გადასაწყვეტია, გამოიყენებთ თუ არა ამ შესაძლებლობას.*
- *პროექტის სახელწოდება, მითითებული მონაწილეობის ინტერესის ფორმაში, პირობითია. თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ სახელწოდება საბოლოო განაცხადში.*
- *მონაწილეობის ინტერესის გამოხატვის შემდგომ თქვენ დამატებით შეგიძლიათ წარადგინოთ სხვა განაცხად(ებ)ი (იმავე ან განსხვავებულ კატეგორიებში).*

4. საკონკურსო განაცხადის შევსება

განაცხადის ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებგვერდიდან: www.meliora.ge, რომელზეც ნახავთ სხვადასხვა კატეგორიის ჩამონათვალს. სხვადასხვა კატეგორიას სხვადასხვა განაცხადის ფორმა შეესატყვისება.

განმცხადებლებმა უნდა აირჩიონ მათთვის სასურველი კატეგორია და სპეციალურად გამოყოფილი უჯრედის მონიშვნით აგრეთვე მიუთითონ განაცხადის კონკრეტული თემა.

თუ გადაწყვეტთ შეიტანოთ რამდენიმე განაცხადი სხვადასხვა კატეგორიაში, თითოეული განაცხადისთვის უნდა შეავსოთ ცალკე ფორმა.

განაცხადის ფორმა შედგება *შესავალი ნაწილისგან*, სადაც უნდა ჩაიწეროს მონაცემები კომპანიის შესახებ და *ძირითადი ნაწილისგან*, სადაც უნდა ჩაიწეროს ინფორმაცია საკონკურსოდ წარდგენილი პროგრამის/პროექტის/ინიციატივის და არჩეულ კატეგორიაში კომპანიის ზოგადი CSR-მიდგომის შესახებ.

შესავალი ნაწილი - კომპანიის მონაცემები - არ შეფასდება ჟიურის წევრების მიერ, თუმცა მათ კარგ წარმოდგენას შეუქმნის კომპანიის საქმიანობის უფრო ფართო კონტექსტის და საზოგადოებაზე მისი ზემოქმედების შესახებ, რაც, საბოლოო ჯამში, დაეხმარება მათ შეფასების პროცესში. განაცხადები, რომლებშიც არ იქნება შევსებული ეს ნაწილი, არ მიიღება განსახილველად.

განაცხადის იმ ნაწილების შევსებისას, რომლებიც უნდა შეაფასოს ჟიური, დარწმუნდით, რომ ზედმიწევნით იცავთ უშუალოდ განაცხადის ფორმებში მოცემულ ინსტრუქციებს;

გადახედეთ ასევე შეფასების კრიტერიუმებს, რადგან სწორედ მათ მიაქცევენ ყურადღებას ჟიურის წევრები განაცხადების შეფასებისას.

თითქმის ყველა კატეგორიის შესატყვისი განაცხადის ფორმა მოითხოვს პროექტის რეზიუმეს წარდგენას. დარწმუნდით, რომ ამ რეზიუმეში ასახულია თქვენი ნომინაციის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი; დაწერეთ რეზიუმე იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა ის კონკურსის ვებგვერდზე და სხვა საკონკურსო მასალებში გამოქვეყნდეს.

განაცხადის ფორმა მოითხოვს ასევე წარმდგენი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის (ან მის შესაბამის თანამდებობაზე მყოფი პირის) მოკლე (მაქსიმუმ 100 სიტყვიან) ციტირებას იმის თაობაზე, თუ რატომაა პასუხისმგებელი ბიზნესი მნიშვნელოვანი მისი კომპანიისთვის და პირადად მისთვის. ამგვარი ციტატა არ არის სავალდებულო, თუმცა სასურველია, რადგან დაანახებს ჟიურის წევრებს კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას და მხარდაჭერას CSR-მიდგომებთან დაკავშირებით. გაითვალისწინეთ, რომ ხელმძღვანელის სიტყვები შესაძლოა გამოქვეყნდეს კონკურსის სხვადასხვა საკომუნიკაციო მასალაში (ვებგვერდზე, საინფორმაციო ბროშურებში და ა.შ.). *დროულად მიმართეთ თქვენს აღმასრულებელ დირექტორს (ან შესაბამის თანამდებობაზე მყოფ ხელმძღვანელს) შესაბამისი თხოვნით, რომ მას ჰქონდეს დრო ზემოხსენებული ციტატის მოსამზადებლად.*

დარწმუნდით, რომ შეავსეთ განაცხადის ყველა ნაწილი. არასრული განაცხადების განხილვა არ მოხდება.

გთხოვთ დაიცვათ განაცხადის ფორმებში მითითებული შეზღუდვა ტექსტის მოცულობასთან (სიტყვების რაოდენობასთან) დაკავშირებით.

თუ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია შეიცვლება განაცხადის წარდგენის შემდეგ, გთხოვთ მაშინვე მიმართოთ კონკურსის ორგანიზატორებს თქვენს მონაცემებში შესწორების შეტანის მოთხოვნით.

დამატებითი საბუთების, ბმულების და მტკიცებულებების წარდგენა

განაცხადების შეფასების პროცესში ჟიურის წევრებს დასჭირდებათ განაცხადში წარმოდგენილი ამა თუ იმ ინფორმაციის გამამყარებელი ფაქტები, ციფრები და მასალები. დამატებითი მასალები სასარგებლო იქნება და შეავსებს თქვენს განაცხადს, ამიტომ გთავაზობთ წარმოადგინოთ სხვადასხვა სახის მტკიცებულებები (ფოტომასალა, ბროშურები, ანგარიშები, საინფორმაციო ფურცლები და მედიაგაშუქება, ვიდეომასალა, გამოხმაურებები და შეფასებები, ინტერნეტბმულები და სხვა ნებისმიერი რამ, რაც, თქვენი აზრით, უკეთესად, უფრო სრულყოფილად წარმოაჩენს თქვენს პროექტს ჟიურის წევრების წინაშე).

გთხოვთ შეარჩიოთ მაქსიმალურად რელევანტური საილუსტრაციო მასალა.

- ვრცელი დოკუმენტების წარმოდგენისას გთხოვთ მიუთითოთ, კონკრეტულად რომელ გვერდებს უნდა მიაქციონ ყურადღება ჟიურის წევრებმა;
- წარდგენილი პროექტის შინაარსის საილუსტრაციოდ გთხოვთ წარმოადგინოთ მაღალი რეზოლუციის ფოტომასალა *.jpg, *.tif ან *.png ფორმატში;
- URL-მისამართები/ბმულები გთხოვთ ჩასვათ უშუალოდ განაცხადში, ტექსტის იმ კონკრეტულ მონაკვეთში, რომლის საილუსტრაციოდაც გასურთ ამ ბმულების გამოყენება.

ბმულების მითითებისას გთხოვთ ასევე რაც შეიძლება ზუსტად მიუთითოთ კონკრეტული გვერდები ან ვიდეოფრაგმენტის დროის მონაკვეთი, განსაკუთრებით, თუ საუბარია ვრცელ ტექსტზე (მაგალითად, ონლაინანგარიშზე) ან ვიდეოზე. შემფასებლები არ წაიკითხავენ მთლიან ანგარიშს, ამდენად მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ ბმულში მკაფიოდ მონიშნოთ ყველაზე რელევანტური მონაკვეთები, რომლებიც საუკეთესოდ განამტკიცებს თქვენს განაცხადს.

მტკიცებულებები გთხოვთ ერთ პაკეტში/ფოლდერში გააერთიანოთ და ატვირთოთ Google Drive-ზე, ხოლო ბმული ჩასვათ თქვენი განაცხადის შესაბამის მონაკვეთში.

საილუსტრაციო მასალის, ფოტოების და ვიდეოების მოწოდებით თქვენ ეთანხმებით საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის ფარგლებში ამ მასალის გამოქვეყნების შესაძლებლობას (თუ არ მიუთითებთ ამ მასალის კონფიდენციალობაზე განაცხადის ფორმის შესაბამის ველში).

კონფიდენციალობა

წარდგენილი მასალის ნაწილი შესაძლოა იყოს შიდა მოხმარების ან კონფიდენციალური. თქვენი განაცხადის ნებისმიერი ნაწილი, რომელიც ან კონფიდენციალურია, ან კომერციულად მგრძნობიარე, უნდა გარკვევით მონიშნოთ ასეთად განაცხადის ფორმის შესაბამის ველში.

თქვენი მონიშნული ნებისმიერი ინფორმაცია განიხილება, როგორც მკაცრად კონფიდენციალური და არავითარ შემთხვევაში არ გამჟღავნდება შეფასების პროცესის ფარგლებს გარეთ.

5. განაცხადის წარდგენა

გთხოვთ გაგზავნოთ შევსებული განაცხადი Word-ის ფორმატში და თანდართული მასალა მისამართზე: csrewards@meliiora.ge

არ დაგავიწყდეთ, რომ განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინოთ:

- განაცხადის გასამყარებელი საბუთები და მტკიცებულებები;
- კომპანიის დეკლარაცია, ხელმოწერილი აღმასრულებელი დირექტორის (ან შესაბამისი თანამდებობის პირის) ან განაცხადის წარდგენაზე პასუხისმგებელი პირის მიერ და დასკანირებული; დეკლარაციით კომპანია ადასტურებს, რომ განაცხადში ასახული ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს;
- პარტნიორის ხელმოწერილი და დასკანირებული დეკლარაცია - იმ შემთხვევაში, თუკი თქვენს განაცხადში ნახსენებია სხვა ორგანიზაციასთან პარტნიორობა; დეკლარაციით პარტნიორი ორგანიზაცია ადასტურებს, რომ განაცხადში ასახული ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს.
- თქვენი კომპანიის ლოგო, მოწოდებული მაღალი რეზოლუციის ფაილით.

დაიჭირეთ თადარიგი, რომ შეავსოთ განაცხადი ბოლო ვადის ამოწურვამდე (5 ოქტომბრამდე).

შეტყობინების მიღება

განაცხადის წარდგენიდან სამი დღის ვადაში თქვენს ელექტრონულ მისამართზე გამოგზავნილი შეტყობინებით დაგიდასტურებთ განაცხადის მიღებას. თუ შეტყობინებას სამი სამუშაო დღის ვადაში არ მიიღებთ, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე: 599 690969 ან ელექტრონული ფოსტით: csawards@meliora.ge

7. ხშირად დასმული კითხვები და დამატებითი ინფორმაცია განმცხადებლებისთვის

ყველა პოტენციურ განმცხადებელს მიეცემა საშუალება მიმართოს წერილობითი შეკითხვებით კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტს. შეკითხვები უნდა გაიგზავნოს **28 სექტემბრამდე**, ელექტრონული წერილის სახით, შემდეგ მისამართზე: csawards@meliora.ge (გთხოვთ წერილის თემაში მიუთითოთ - *შეკითხვა*). ხშირად დასმული კითხვები და შესაბამისი პასუხები გამოქვეყნდება კონკურსის ვებგვერდზე (www.meliora.com), **ხშირად დასმული კითხვების / FAQ კატეგორიაში**.

ყველა დაინტერესებული მხარისთვის პროექტის ორგანიზატორები გამართავენ **ჯგუფურ კონსულტაციას** განაცხადის წარდგენის პროცესთან და შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. კონსულტაციის დრო და ადგილი გამოცხადდება კონკურსის ვებგვერდზე.

განმცხადებლები, რომლებიც *მონაწილეობის ინტერესს* 10 სექტემბრამდე წარადგენენ, შეძლებენ თავიანთ განაცხადთან დაკავშირებით გაიარონ **ინდივიდუალური კონსულტაცია**.

8. როგორ შევადგინოთ საუკეთესო განაცხადი: რჩევები და რეკომენდაციები

- **დროულად შეუდევით განაცხადზე მუშაობას.** განაცხადის მომზადებას საკმაოდ დრო სჭირდება, თქვენ კი სამსახურში უამრავი სხვა საქმეც გაქვთ. ამიტომ წინასწარ დაიჭირეთ თადარიგი და, სულ ცოტა, 3-კვირიანი ვადა დაიდეთ ყველა საჭირო მონაცემის შესაგროვებლად.
- **ყურადღებით წაიკითხეთ** „განმცხადებლის სახელმძღვანელო“ და განაცხადის ფორმებში წარმოდგენილი ინსტრუქციები, აგრეთვე გაეცანით შეფასების კრიტერიუმებს და შეეცადეთ განაცხადის ფორმის შევსებისას ამ კრიტერიუმებითა და ინსტრუქციებით იხელმძღვანელოთ.
- **ჩვენ გირჩევთ, რომ შემოიტანოთ წინასწარი განაცხადი კონკურსში მონაწილეობის ინტერესის შესახებ.** წინასწარი განაცხადის წარდგენა არ გაკისრებთ არანაირ ვალდებულებას, მაგრამ გაძლევთ შესაძლებლობას მიიღოთ ინდივიდუალური კონსულტაცია განაცხადის შევსების, კატეგორიის შერჩევისა და სხვა პრაქტიკული საკითხების შესახებ.
- **დაიხმარეთ უფროსი.** შეატყობინეთ კომპანიის ხელმძღვანელობას კონკურსის შესახებ - თქვენ დაგჭირდებათ მათი თანხმობა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. ალბათ გახსოვთ, განაცხადის ფორმა მოითხოვს კომპანიის დირექტორის (ან შესაბამისი თანამდებობის პირის) ციტირებას პასუხისმგებელი ბიზნესის მნიშვნელობის შესახებ. დროულად მოსთხოვეთ თქვენს დირექტორს ამ გამონათქვამის მოწოდება, რომ არ დაგაგვიანდეთ. ეს არ არის სავალდებულო, თუმცა, გამარჯვების შემთხვევაში, თქვენს დირექტორს ალბათ გაუხარდება, როცა მისი სიტყვები გამოქვეყნდება კონკურსთან დაკავშირებულ ინფორმაციაში.
- **მოიპოვეთ თქვენი თანამშრომლების მხარდაჭერა.** კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, გუნდურ მუშაობას და თანამშრომლობას გულისხმობს. გააგებინეთ თქვენს კოლეგებს, რომ საკონკურსო განაცხადს ამზადებთ და მოიპოვეთ მათი მხარდაჭერა; მათ შეუძლიათ ფასეული ინფორმაცია მოგაწოდონ განაცხადის შესავსებად.
- **თქვენი პროექტის რეზიუმე უნდა იყოს შთამბეჭდავი.** ჟიურის წევრებმა უნდა წაიკითხონ უამრავი განაცხადი. შეიძლება ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი და ციფრი გქონდეთ მოყვანილი თქვენს განაცხადში, მაგრამ აუცილებელია გამოკვეთოთ და ხაზი გაუსვათ საუკეთესო ნაწილს. სწორედ ამისთვისაა პროექტის რეზიუმე. მოკლედ

და შეჯამებულად წარმოადგინეთ რეზიუმეში თქვენი პროექტის ძირითადი მიღწევები და შედეგები - ამით თავიდანვე მიიპყრობთ ჟიურის ყურადღებას. წერისას გაითვალისწინეთ, რომ გამარჯვების შემთხვევაში პროექტის რეზიუმე გამოქვეყნდება კონკურსის ვებგვერდსა და სხვა საინფორმაციო მასალებში.

- **წარმოადგინეთ მთელი საჭირო ინფორმაცია.** თუ თქვენ წარმოადგენთ დიდ და ცნობილ ორგანიზაციას, ნუ იფიქრებთ, რომ ჟიურის წევრებმა უნდა იცოდნენ თქვენი საქმიანობის, ბიზნესის და პროდუქტების შესახებ - განაცხადში შეიტანეთ სრული და დეტალური ინფორმაცია. შედარებით პატარა, ნაკლებად ცნობილი ორგანიზაციები ზოგჯერ ბევრად უფრო დეტალურ განაცხადს წარადგენენ, სადაც მოცემულია სრულფასოვანი ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები, რაც მათი ობიექტურად შეფასების საშუალებას იძლევა.
- **ადეკვატურად უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს.** დასმულ შეკითხვებს უპასუხეთ ისე, რომ არ გადაუხვიოთ შეკითხვის არსს და არ მოგვაწოდოთ მეორეხარისხოვანი, არაარსებითი ინფორმაცია. ასევე გახსოვდეთ: თუ განაცხადის ფორმაში დასმულ ყველა კითხვას თანაბრად დეტალურ და ამომწურავ პასუხს ვერ სცემთ, ეს არ ნიშნავს, რომ განაცხადი არ უნდა შემოიტანოთ; წარმოადგინეთ ის ინფორმაცია, რაც თქვენს ხელთაა, იმდენი, რამდენსაც მიიჩნევთ საკმარისად ჟიურის წევრების დასარწმუნებლად და თქვენი პროექტის ძლიერი მხარეების წარმოსაჩენად.
- **მიუთითეთ ფაქტები და ციფრები.** შესაძლოა თქვენი პროექტი იყოს ბრწყინვალე, მაგრამ ჟიურის წევრები მხოლოდ თქვენს სიტყვებს ვერ დასჯერდებიან. წარმოადგინეთ უტყუარი მტკიცებულებები (ფაქტები, ციფრები, სტატისტიკური მასალები, სარეკომენდაციო წერილები) თქვენი მონათხრობის საილუსტრაციოდ. შეგიძლიათ განაცხადს დაურთოთ ფოტომასალა, დიაგრამები და ანგარიშები. ფოტომასალა დაგეხმარებათ ისტორიის გაცოცხლებაში, ხოლო როცა საქმე ეხება კომპლექსურ პროცესებს და სტრუქტურებს, ცხრილი ან დიაგრამა ბევრად გაამარტივებს ინფორმაციის აღქმას. მნიშვნელოვანია, რომ „თანდართული მასალა“ განაცხადში მოტანილ ინფორმაციას კი არ ანაცვლებდეს, არამედ ამყარებდეს.
- **წარმოადგინეთ რა გავლენა და შედეგი ჰქონდა პროექტს.** მნიშვნელოვანია წარმოადგინოთ არა მხოლოდ ის, რაც გაკეთდა პროექტის ფარგლებში, არამედ ის შედეგები და გავლენა, რაც პროექტის განხორციელებას მოჰყვა. უნდა აჩვენოთ მყარი მტკიცებულებები (ფაქტები, სტატისტიკური მონაცემები) იმ სიკეთისა, რაც პროექტმა მოუტანა საზოგადოებასა და გარემოს, ასევე - თქვენს კომპანიას. წარმოადგინეთ მონაცემები პროექტამდე და პროექტის შემდგომი ვითარების შესახებ, აჩვენეთ ცვლილება, მოიხმეთ იმ ადამიანთა გამონათქვამები, ვისაც სარგებლობა მოუტანა თქვენმა საქმიანობამ.
- **კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ზოგადი პოლიტიკა და მიდგომები.** ეს კითხვა დასმულია თითქმის ყველა კატეგორიის განაცხადის ფორმაში. ამით ჟიურის წარმოდგენა უნდა შეექმნას კომპანიის ზოგად დამოკიდებულებაზე სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ, კომპანიაში არსებულ CSR-კულტურაზე.

შემფასებლებისთვის მნიშვნელოვანია დაინახონ, რა კავშირია საკონკურსოდ წარმოდგენილ პროექტსა და კომპანიის ზოგად CSR-სტრატეგიას შორის.

- **თუ პირველ ჯერზე ვერ მიაღწევთ წარმატებას**, გამოიყენეთ მიღებული გამოცდილება და გამოხმაურება - ეს დაგეხმარებათ, რომ გაისად თქვენი განაცხადი კიდევ უფრო გამორჩეული იყოს.

იმედი გვაქვს, ჩვენი ინფორმაცია გამოგადგებათ! ველით თქვენს განაცხადს!

9. კონკურსის ჟიური

კონკურსზე წარდგენილ პროექტებს შეაფასებს დამოუკიდებელი ჟიური (გარე შემფასებელთა ჯგუფი), რომელიც შედგება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროს და მისი ცალკეული მიმართულებების (გარემოს დაცვა, თემის განვითარება, შრომითი საკითხები, მომხმარებლის უფლებები და ა.შ.) წამყვანი ქართველი და უცხოელი ექსპერტებისგან.

შეფასების პროცესი არის მთლიანად დამოუკიდებელი; კონკურსის ორგანიზატორის (CSRDG) არც ერთი წევრი არ არის ჟიურის შემადგენლობაში. ჟიურის წევრები წარმოადგენენ საერთაშორისო და ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სამეცნიერო წრეებს და მოწვეული არიან მიუკერძოებლობის, ცოდნისა და გამოცდილების გამო.

თითოეულ კატეგორიას დამოუკიდებლად შეაფასებს შემფასებელთა კონკრეტული ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული იქნებიან CSR-ექსპერტები და შესაბამისი მიმართულების ექსპერტები (მაგალითად, გარემოსდაცვითი კატეგორიის შემფასებელთა ჯგუფი შედგება CSR-ექსპერტებისა და გარემოს დაცვის საკითხების ექსპერტებისგან და ა.შ.).

2018 წელს საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის ჟიურის საერთაშორისო წევრები არიან:

1. ანა ბოლტი, Business in the Community, The Prince's Responsible Business Network, დიდი ბრიტანეთი
2. პაველ ჰრიკა, Pontis Foundation, სლოვაკეთი
3. ელენ კოენი, Beyond Business, ისრაელი
4. ჟაკ სპელკენსი, ENGIE Group, ბელგია
5. ანგუს მაკკეიბი, Third Sector Research Centre, ბირმინგემის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი

6. ლუკას ბაკოსი, Maxman Consultants, სლოვაკეთი
7. თომას კოლსტერი, Goodvertising, დანია

ინფორმაცია ჟიურის ქართველი წევრების შესახებ ამ ეტაპზე არ მუდგენდება (ჟიურის ყველა წევრმა მოაწერა ხელი კონფიდენციალობის შეთანხმებას), ინტერესთა კონფლიქტის და ლობირების შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. ჟიურის ქართველ წევრთა სახელები ცნობილი გახდება დეკემბერში, დაჯილდოების ცერემონიის დროს.

10. საკონკურსო განაცხადების შეფასება

განაცხადების შეფასების პროცესი ორ ეტაპად იყოფა: კონკურსის პირობებთან შესაბამისობის შეფასება და ჟიურის შეფასება. გარკვეული კატეგორიებისთვის (გრანპრი, წლის CSR-მენეჯერი) შეფასება მოიცავს ასევე კონკურსის ბოლო ეტაპზე გასული რამდენიმე ფინალისტის ზეპირ პრეზენტაციებს ჟიურის წინაშე.

კონკურსის პირობებთან შესაბამისობის შეფასება

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადის ამოწურვისთანავე ყველა განაცხადს შეამოწმებენ კონკურსის ორგანიზატორები, კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დასადგენად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე განაცხადი ვერ დააკმაყოფილებს კონკურსის ფორმალურ მოთხოვნებს, კონკურსის ორგანიზატორები დაუკავშირდებიან შესაბამის განმცხადებელს და შესთავაზებენ რამდენიმე დღის ვადაში შეასწოროს თავისი განაცხადი ან/და წარმოადგინოს სავალდებულო დოკუმენტაცია.

განაცხადების შეფასება ჟიურის მიერ

ყველა განაცხადი, რომელიც გაივლის შესაბამისობის შემოწმებას, გადაეგზავნება დამოუკიდებელ ჟიურის (გარე შემფასებელთა ჯგუფს) და შეფასდება კომპლექსური კრიტერიუმების მიხედვით (შეფასების სისტემა გამოქვეყნებულია ვებგვერდზე: www.meliora.ge). გამარჯვებულების გამოვლენის პროცესში ჟიურის წევრები მხედველობაში მიიღებენ აგრეთვე იმ მტკიცებულებებს (საბუთებს, ბმულებს და ა.შ.), რომლებიც თან ერთვის განაცხადებს.

განაცხადების განხილვის პროცესში ჟიურის წევრებს შესაძლოა გაუჩნდეთ კითხვები; მათ ასევე შეიძლება მოითხოვონ დამატებითი ინფორმაციის/საბუთების წარმოდგენა. აღსანიშნავია, რომ ჟიურის წევრებს არ ექნებათ უშუალო კავშირი კონკურსის

მონაწილეებთან და მათ ყველა შეკითხვას თუ მოთხოვნას განმცხადებლები მიიღებენ კონკურსის ორგანიზატორებისგან.

ზეპირი პრეზენტაციები კატეგორიებისთვის - გრანპრი და წლის CSR-მენეჯერი

კატეგორიებში გრანპრი და წლის CSR-მენეჯერი ჟიურის შეფასება ორ რაუნდად წარიმართება. პირველ რაუნდში ჟიური განიხილავს განაცხადებს და შეარჩევს შესაბამისი კატეგორიის რამდენიმე ფინალისტს. მეორე რაუნდში შერჩეულ ფინალისტებს მოიწვევენ ზეპირ პრეზენტაციებზე და სთხოვენ პირადად წარუდგინონ ჟიურის თავიანთი პროექტები/ინიციატივები.

მეორე რაუნდში გადასულ ფინალისტებს გაეგზავნებათ წინასწარი წერილობითი შეტყობინება, თუ კონკრეტულად რა თემებსა და საკითხებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება პრეზენტაციის დროს.

ჟიური საბოლოო გამარჯვებულს თითოეულ ზემოხსენებულ კატეგორიაში გამოავლენს ზეპირ პრეზენტაციებზე დაყრდნობით.

ჟიურის წევრებს შეუძლიათ უარი თქვან ამა თუ იმ კატეგორიაში ჯილდოს მინიჭებაზე, თუკი მიიჩნევენ, რომ შემოტანილი განაცხადები არ აკმაყოფილებს სათანადო სტანდარტებს.

ჟიურის წევრები იტოვებენ უფლებას, თითოეულ თემატურ კატეგორიაში დაასახელონ ორი გამარჯვებული: ერთი - მსხვილი და ერთი - მცირე/საშუალო ზომის კომპანია. *გთხოვთ აგრეთვე იხილოთ „კონკურსის მოთხოვნები და პირობები“.*

11. გამარჯვებულების დასახელება - დაჯილდოების ცერემონია და ჯილდო

კონკურსში გამარჯვებულების გამოცხადება მოხდება დაჯილდოების ოფიციალურ ცერემონიაზე, რომელიც 2018 წლის დეკემბერში გაიმართება.

- თითოეული კატეგორიის გამარჯვებულს გადაეცემა სპეციალური ჯილდო - განსაკუთრებული პრიზი;
- კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცემა მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- კონკურსის უკლებლივ ყველა მონაწილეს მიიწვევენ დეკემბერში დაგეგმილ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე.

მიუხედავად იმისა, გაიმარჯვებთ თუ არა კონკურსში, გარწმუნებთ, რომ დაჯილდოების ცერემონიის დღე თქვენთვის იქნება დაუვიწყარი!

დაჯილდოების ცერემონიის შესახებ დეტალები იხ. ვებგვერდზე: www.meliora.ge

12. კონკურსის ორგანიზატორი

„საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი“ არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1995 წელს და სამოქალაქო სექტორში წარმატებული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, როგორც თბილისში, ისე საქართველოს რეგიონებში.

ორგანიზაციის მისიაა კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ამ მიზნით ცენტრი აქტიურად მუშაობს სამოქალაქო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ფართო საზოგადოებასთან.

2004 წლიდან საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ახორციელებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების პროგრამას. ადგილობრივი ორგანიზაციებიდან იგი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა. საქართველოში CSR-ის კონცეფციის პოპულარიზაციისა და სხვადასხვა სექტორის ინფორმირების მიზნით ცენტრი ატარებს კვლევებს, საკომუნიკაციო კამპანიებს, ტრენინგებს, სემინარებს, დაინტერესებულ მხარეთა ფორუმებს და კონფერენციებს, აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით როგორც სახელმწიფო უწყებებთან, ასევე მსხვილ, საშუალო და მცირე კომპანიებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მედიასთან.

13. პროექტის შესახებ

კონკურსი ტარდება „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ (2017-2020) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის ხელმძღვანელობითა და ოთხი ქართული სამოქალაქო ორგანიზაციის - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის მონაწილეობით.

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გარემოს გაუმჯობესებას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებას, მოქალაქეების

მიმართ ამ ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების გაზრდასა და სხვა აქტორებთან კავშირების განმტკიცებას.

ამ მიზნის მისაღწევად დასახულია რამდენიმე გრძელვადიანი ამოცანა, რომელთაგან ერთ-ერთია საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა (CSR) და სექტორთაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობა და ამ გზით კერძო სექტორის ჩართვა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში. ბიზნესსექტორში CSR-ის კულტურისა და პასუხისმგებლობით აღსავსე ქცევის ნორმების დამკვიდრების ხელშესაწყობად ტარდება ტრენინგები და კონკურსები, მზადდება ელექტრონული რესურსები და პუბლიკაციები; CSR-ის ხელშეწყობი გარემოს ჩამოყალიბებისათვის CSR-თან დაკვირვებულ საკითხებზე მიმდინარეობს მთავრობის, მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლება; სექტორთაშორისი თანამშრომლობისა და დიალოგის ხელშეწყობა დაინტერესებულ მხარეთა ფორუმების, მიკროგრანტების პროგრამებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელებით.